სტრესთან გამკლავების სტრატეგიები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებში

ელშან ბაირამოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისმეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

მაგისტრანტი, ელშან ბაირამოვი

20.06.2024

აბსტრაქტი

უნივერსიტეტები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს სთავაზობენ ერთ წლიან მოსამზადებელ კურსს, რომლის გავლის შემდეგ შესაძლებელია პირველ კურსზე მოხვედრა და სწავლის გაგრძელება. თუმცა არ არსებობს კვლევა, რომელიც შეისწავლის თუ რა გამოწვევებს აწყდებიან და როგორ უმკლავდებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები უმაღლესი განათლების მიღების პროცესში არსებულ სირთულეებს. აღნიშნული კვლევის მიზანია შეისწავლოს რეგიონიდან ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებები, გამოწვევები და მათთან გამკლავების სტრატეგიები.

კვლევა ჩატარებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიით. რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს კითხვარების ჩატარებას 150 სტუდენტთან. მონაცემების შედარების მიზნით, მონაწილეების ნახევარს წარმოადგენს ქართულენოვანი სტუდენტები (საკონტროლო). : შფოთვის შესაფასებელი კითხვარს წარმოადგენს GAD-7, სტრესის შესაფასებელი ინსტრუმენტი კი არის CSSS. სტუდენტების საჭიროებისა და გამკლავების სტრატეგიების შესწავლის მიზნით, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 20 სტუდენტებთან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს ადაპტაციის სირთულესთან ერთად აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ქართულენოვან სტუდენტებთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებში, საშუალოდ მაღალია შფოთვა, რაც დაკავშირებულია კულტურულ და ენობრივ ბარიერებთან. შესაბამისად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის ახალ გარემოში ადაპტაციისთვის საჭიროა რიგი სერვისების შემუშავება, როგორიც არის გასვლითი ღონისძიებები, ტრენინგები ქართულენოვან სტუდენტებთან ერთად, მშობლიურ ენაზე ფსიქოლოგიური სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა და ა.შ.

Abstract

Universities offer students from ethnic minorities a one-year preparatory course, after which they can enter the first year and continue their studies. However, there is no research that examines the challenges that ethnic minority students face and how they cope with difficulties in the process of obtaining higher education. The purpose of this research is to study the needs, challenges and coping strategies of ethnic minority students from the region.

The research was conducted using qualitative and quantitative methodology. The quantitative component includes conducting questionnaires with 150 students. In order to compare the data, half of the participants are Georgian-speaking students (control). : The anxiety assessment questionnaire is GAD-7, and the stress assessment instrument is CSSS. In order to explore students' needs and coping strategies, in-depth interviews were conducted with 20 ethnic minority students.

As a result of the research, it was revealed that ethnic minority students have mental health problems along with the difficulty of adaptation. Compared to Georgian-speaking students, ethnic minority students have higher anxiety on average, which is related to cultural and language barriers. Accordingly, for ethnic minority students to adapt to a new environment, it is necessary to develop a number of services, such as field trips, trainings with Georgian-speaking students, the possibility of using psychological services in their native language, etc.

მადლობა

კვლევაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს.

მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, რომლებმაც არ დაიშურეს დრო კითხვარის შესავსებად და ინტერვიუში მონაწილეობის მისაღება.